ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 12

ქ. ლანჩხუთი **20.11.2026 წელი**
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.

კომისიის წევრები: კარლო კვიტაიშვილი, ვლადიმერ ნანაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი იმნაიშვილი, მაია ლომთაძე, სამსონ კვაჭაძე, გოგი მორჩილაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატი: თორნიკე მითაიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

6.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პირობიანი სარგებლობის უფლებით-აღნაგობის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

7.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/როლანდ ლაშხია/

8.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 8; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ 2025 წლის 24 დეკემბერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა მოქალაქე კობა ჯალაღონიამ (კანცელარიის N19/302535845-30), რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ მალთაყვაში მდებარე 159 კვ. მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.15.55.834) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა აუქციონის ფორმით.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის განმარტებით, სამსახურის მოსაზრებაა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კერძოდ სოფელ მალთაყვაში მდებარე 159 კვ. მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.15.55.834) გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი და მოხდეს მისი გაცემა სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით. ასევე, უძრავი ქონებისათვის სარგებლობით გაცემის წლიურ ქირის ოდენობად განისაზღვროს მთლიანი საბაზრო ღირებულების 24 496 (ოცდაოთხი ათას ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის (სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 16 ივნისის დასკვნა N 004374126) 20%, რაც შეადგენს 4 899,2 (ოთხი ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარს.
დეპუტატ ჯუმბერ ბლაგიძის აზრით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ე.წ ,,დრაივის" ტიპის ობიექტის განთავსება დაუშვებელია. მისი თქმით, აღნიშნული ადგილი საგზაო უსაფრთხოების თვალსაზრისით საკმაოდ სახიფათოა, ვინაიდან საავტომობილო გზის ღერძული ხაზიდან დაახლოებით 7-8 მეტრში მდებარეობს. მან ასევე აღნიშნა, რომ მონაკვეთზე უკვე დაფიქსირებულია რამდენიმე შემთხვევა. **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა განმარტა,** რომ აღნიშნული საკითხი მოქმედი კანონმდებლობით რეგულირდება. მუნიციპალიტეტი იჯარით გასცემს მიწის ნაკვეთს, ხოლო მოიჯარე რომელიც მუნიციპალიტეტთან შევა სამართლებრივ ურთიერთობაში, ვალდებულია აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დროებითი შენობა-კონსტრუქციის განთავსება მუნიციპალიტეტთან შეათანხმოს. მისი თქმით, მიწის ნაკვეთი საავტომობილო გზის ღერძული ხაზიდან დაახლოებით 22 მეტრით არის დაშორებული და შეწეულ ტერიტორიაზე მდებარეობს. მან ასევე განმარტა, რომ თანხმობა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი პირობები სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და დადგენილ რეგულაციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოიჯარე შესაბამის თანხმობას ვერ მიიღებს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 7, წინააღმდეგი 1(ჯუმბერ ბლაგიძე)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, იგეგმება მუნიციპალური უძრავი ქონების (სოფელ სუფსაში

მდებარე 387.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.15.52.294) განთავსებულ 256,90 კვ. მ შენობა-ნაგებობაში არსებული 27.15.52.294.01.503 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17.70 კვ. მ ფართი და მასზე მიმაგრებული იმავე კვადრატული მიწის ნაკვეთი) განკარგვა, კერძოდ მისი უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, 3 წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, 27.15.52.294 საკადასტრო კოდზე არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვალა, ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან (რომელიც ასახულია სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 27 თებერვლის N001236424 ექსპერტიზის დასკვნაში), რომელიც გაწერილია ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, უპირობო, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, უპირობო, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, იგეგმება მუნიციპალური უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქ N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებულ 33,45 კვ. მ ფართი (ს/კ 27.06.56.072 01/503) განკარგვა, კერძოდ მისი უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, 5 წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებულ 33,45 კვ. მ ფართი (ს/კ 27.06.56.072 01/503) სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვალა, ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან (რომელიც ასახულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 7 სექტემბრის N006833226 ექსპერტიზის დასკვნაში), რომელიც გაწერილია ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, უპირობო, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, უპირობო, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, იგეგმება მუნიციპალური უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ზაალ მდინარაძის ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებულ 18,25 კვ. მ ფართობი (ს/კ 27.06.56.072 01/506) განკარგვა, კერძოდ მისი უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, 5 წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ზაალ მდინარაძის ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებულ 18,25 კვ. მ ფართობი (ს/კ 27.06.56.072 01/506) სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვალა, ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან (რომელიც ასახულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 7 სექტემბრის N006833126 ექსპერტიზის დასკვნაში), რომელიც გაწერილია ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, უპირობო, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ამჯერად ცვლილება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში. კერძოდ, ემატება სოფელ შრომისუბანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 137 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 39,74კვ. მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.13.45.437), რომლის საწყისი საპრივატიზებო ღირებულებაა 3631 (სამიათას ექვსას ოცდათერთმეტი) ლარი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პირობიანი სარგებლობის უფლებით-აღნაგობის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს განცხადებით მომართა შპს „ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს დირექტორმა ზურაბ ოქროპირიძემ, რომლითაც ითხოვს ლანჩხუთის მუნციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ გრიგოლეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.15.42.898) გადაცემას პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი აღნაგობით, 20 წლით. „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების მიხედვით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით, აღნაგობა, უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა, თხოვება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ამავე დადგენილების 24-ე მუხლის 1, 2 და 4 პუნქტებით მუნიციპალიტეტის ქონების უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, იჯარის, თხოვების ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით სარგებლობის უფლებით გადაცემა ითვალისწინებს ფიზიკური, საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემას, მუნიციპალიტეტის ქონების უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, იჯარის, თხოვებისა ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმით გადაცემის ინიციატორი სათანადო განაცხადს წარუდგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ქონების მმართველს. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის ქონების მმართველი, აღნიშნული საკითხის განხილვის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, იჯარის, თხოვების ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს შორის ფორმდება მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულება (შემდგომში - სარგებლობის ხელშეკრულება) ამავე დადგენილების 36 - ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით. მისივე განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, შპს „ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს გადაეცეს ლანჩხუთის მუნციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ გრიგოლეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.15.42.898) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი აღნაგობით, 20 წლით, თანდართული აღნაგობის ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული პირობებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2027-2030 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2027 წლისათვის ნომინალური მ შ პ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,9 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155 [1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

2027 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 21148,5 ათას ლარს შეადგენს.

2027 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

-**დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 17848,5 ათასი ლარით;
2027 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 10.3 %-ით (1672,1 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3300,0 ათას ლარს;

2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 50%-ით (1100,0 ათასი ლარით) იზრდება.

2027 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

-გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 3647,3 ათასი ლარამდე, მათ შორის:
-სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 3647,3 ათასი ლარი;

-შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 225,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
-პროცენტები 80,0 ათასი ლარი.

-რენტა 145,0 ათასი ლარი;

2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 1,1% (1,5 ათასი ლარით) მცირდება. შემცირება გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის შემცირებით, ვინაიდან ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე გაცემულია ნაკლები ლიცენზია.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 160,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- სანებართვო მოსაკრებლები 40,0 ათასი ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 35,0 ათასი ლარი;
- შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 85ათასი ლარი;

-შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2910,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
-შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 2908,5 ათასი ლარი;
-შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 2,0 ათასი ლარი;

-ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
-მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 100,0 ათასი ლარი;
-არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 4424,6 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 34519,9 ათას ლარს (2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 7969,9 ათასი ლარით).

2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2025 წელს, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“

საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1,735 ლარის ოდენობით ნაცვლად 1600 ლარისა.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება** - 7767,0 ათასი ლარი; მათ შორის:
- **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** - 2065,0 ათასი ლარი;
- **წყლის სისტემების განვითარება** -480,0 ათასი ლარი, მათ შორის წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 250,0 ათასი ლარი.
- **გარე განათება** - 870,0 ათასი ლარი;
- **მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია**-1300,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის ღონისძიებები პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები-1302,0 ათასი ლარი.

-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია 1000,0 ათასი ლარი:
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

-სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები-750,0 ათასი ლარი.
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ადგილობრივი გზების მოასფალტება და ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია და სხვა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოფლის კონკრეტული მოსახლეობა.

-დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3520, 0 ათასი ლარი, მათ შორის:
- **დასუფთავება და ნარჩენების გატანა** - 3000, 0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.

- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 500, 0 ათასი ლარი

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.

- განათლება - 7612,4 ათასი ლარი, მათ შორის:

- სკოლამდელი განათლება - 7387,9 ათასი ლარი;

2026 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 1956,2 ათასი ლარით (36,0%), რაც გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით; ასევე 2 ბაღის რეაბილიტაციით.

-ზოგადი განათლება-224,5 ათასი ლარი

აღნიშნული წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსილებას და ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსწავლეების გადაყვანა 150,5 ათასი ლარი.

-კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 6058,4 ათასი ლარი მათ შორის:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2927,9 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

-კულტურის განვითარების ხელშეწყობა -3095,5 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმის, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე, მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- ახალგაზრდობის მხარდაჭერა -35,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე, ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2291,8 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 374,8 ათ ლარი.

-სოციალური პროგრამები-1917,0 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:

-შ.შ. მ პირთა დახმარების პროგრამა-177,0 ათასი ლარი.

-მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა-65,0 ათასი ლარი.

-სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა-330,0 ათასი

-სარეაბილიტაციო ცენტრ ,,იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა-20,0 ათასი ლარი;

-მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-25,0 ათასი ლარი.
-მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა-190,0ათასი ლარი.
-მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა-110,0 ათასი ლარი
-ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა-55,0 ათასი ლარი;
-მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა-145,0 ათასი ლარი
-ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბი"-ს ონკო-პაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა-80,0 ათასი ლარი.
-მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა-67,0 ათასი ლარი.
-აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა-225,0 ატასი ლარი.
-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა-318,0 ათასი ლარი
-რისკის ქვეშ მყოფი 0-დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა-65,0 ათასი ლარი;
-დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა-15,0 ათასი ლარი;

მმართველობა - 7270,3 ათასი ლარი, მათ შორის:

- საკრებულოს დაფინანსება - 1852,6 ათასი ლარი;
-მერია - 4636,5 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 200,0 ათასი ლარი;
-საერთო დანიშნულების ხარჯები-581,2 ათასი ლარი;

-საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 7270,3 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 2905,0 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 3500,0 ათასი ლარი;
-საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 4882, 0 ათასი ლარი;
-ჯანმრთელობის დაცვა-374,8 ათასი ლარი;
- განათლება -7612,4 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია- 6058,4 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა -1917,0 ათასი ლარი

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ ყურადღება გაამახვილა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების საკითხზე და აღნიშნა, რომ მათი ყოველთვიური ხელფასი საკმაოდ დაბალია. მისი თქმით, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა და წიგნიერების პოპულარიზაციის საქმეში, შესაბამისად მათი შრომა სათანადოდ უნდა იქნას დაფასებული.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 7, წინააღმდეგი 1 (ჯუმბერ ბლაგიძე)

სხვადასხვა.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ სოფ. გრიგოლეთში ხანძრის შედეგად დაიწვა ბეჟან მურვანიძის საცხოვრებელი სახლი. იგი დაინტერესდა რა ოდენობის ფინანსური დახმარება გაეწევა დაზარალებულ ოჯახს.
დეპუტატი ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა ასევე შემდეგი საკითხებით:
-მელიორაციის საკითხი სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში.
-სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში აუცილებელია საერთაშორისო მნიშვნელობის გზის დაკავშირება სახელმწიფო მნიშვნელობის გზასთან.
- რა ეტაპზეა ხიდმაღალას ცენტრალურ გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-მოწესრიგების საკითხი, რომლის თაობაზეც განცხადებას ხელი 123-მა ადამიანმა მოაწერა.
- სოფ. ხიდმაღალაზე, სუფსის სასაფლაოს მიმდებარედ, გამომავალი არხის ბოლოში აუცილებელია ნაპირსამაგრი გაბიონის გაგრძელების მოწყობა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №12

20.11.2026 წელი
12:00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 20 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

6. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პირობიანი სარგებლობის უფლებით-აღნაგობის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

7.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/როლანდ ლაშხია/

8.სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 7, წინააღმდეგი 1 (ჯუმბერ ბლაგიძე)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, უპირობო, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, უპირობო, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, უპირობო, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პირობიანი სარგებლობის უფლებით-აღნაგობის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 7, წინააღმდეგი 1 (ჯუმბერ ბლაგიძე)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.11. 2026 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი		ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	11 56	
2	გიორგი იმნაიშვილი	11 57	
3	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
4	მაია ლომთაძე	11 59	
5	სამსონ კვაჭაძე	11 55	
6	გოგი მორჩილაძე	11 58	
7	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
8	თორნიკე მითაიშვილი	არ ესწრება	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	11 56	